პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

კომუნისტი — ორган цк кп грузии, верховного совета грузинской ССР и совета министров грузинской ССР

3 ივლისი ხუთშაბათი 1969 წ. ფასი 2 კაპ.

გამოცემის მე-12 წელი № 153 (14453)

ჩვენი ხალხის გულისთქმა

თელი მსოფლიო უდიდესი ყურადღებითა და გაფაცებით ადევნებდა თვალყურს მოსკოვს, სადაც თითქმის ორი კვირის მანძილზე მომდინარეობდა დიდ საერთაშორისო თათბირი კეშმარიტად აქტუალურ, მთელი კაცობრიობისათვის ამაღელვებელ და საჭირბოროტო საკითხებზე.

მოსკოვის თათბირმა, რომელსაც სიფრთხილით ედო თანამედროვეობის ყოველმხრივი მეცნიერული ანალიზი, შეიმუშავა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მოქმედების საბრძოლო პლატფორმა. მიღებულ ძირითად დოკუმენტებში „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა“, მიმართული „ლადმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ“, „ვიეტნამის მოწოდებებში „მშვიდობის დასაცავად“ და „დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მშვიდობა ვიეტნამს“ ასახულია მოძმე პარტიების საერთო პოზიციები ძირეულ პრობლემებზე, ამავე დროს მათში გათვალისწინებულია კომუნისტთა საერთაშორისო არმიის ცალკეული რაზმების საქმიანობის კონკრეტული პირობები.

სწორედ ამ დოკუმენტებში, თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში განზოგადებულია კომუნისტური მოძრაობის უდიდესი გამოცდილება, ისინი შეიცავენ მარქსისტულ ლენინურ თეორიაში შეტანილ დიდმნიშვნელოვან წვლილს. მოსკოვის თათბირის — ამ მეტად დიდი წარმომადგენლობითი ფორუმის— შედეგები ხელს შეუწყობს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებას, მისი ძალის ზრდას, მისი ავტორიტეტის ამაღლებას.

მოძმე პარტიების შეერთებულმა, მტკიცე და ომიბანაში ხმამ გადაფარა ყველა კონტინენტს, ამაყად შეიჭრა იგი მსოფლიოს ყველა კუთხეში.

არ გამართლდა სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის მტრების გარაუდი, თითქოს თათბირი ვერ მიაღწევდა მიზანს, თითქოს არ იქნებოდა საჭირო ერთსულოვნება და შეთანხმება მთელ რიგ ძირითად საკითხებზე. პირიქით, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირმა ერთხელ კიდევ ცხადად დაანახვა ყველას, თუ რა უძლეველია მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის დროშასაც ხალხთა თანასწორუფლებიანობა, მშვიდობა და კომუნიზმი აწეურია.

26 ივნისს გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ“, მთლიანად და სავსებით მოიწონა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებისათვის, ამ თათბირზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მუშაობა.

თვითეული საბჭოთა ადამიანის სურვილი, ფიქრები, გულისთქმა შესანიშნავად გამოხატა თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. ჩირგაძემ:

„ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კომუნისტთა მიერ ნაოქვამი ერთიანი სიტყვა აღგვაფრთოვანებს, გვნერგავს შრომის პათოსს, ახალ ენერგიას გვმატებს“.

დიახ, ჩვენს ხალხს აქვს კანონიერი სიამაყის გრძნობა თავისი ლენინური პარტიისათვის, ქვეყნისათვის. იგი მუდამ მზად არის მთელი ძალები მოახმაროს სოციალისტური სამშობლოს აყვავებას, კომუნისტური საზოგადოების შენებლობის დიად საქმეს. ყოველივე ეს კი უფრო ნათლად, უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ახლა, ამ დღეებში, როცა ყველგან გულდასმით სწავლობენ და განიხილავენ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგებს.

გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელზეც მოხსენებით — „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ“ — გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მგალობლიშვილი. გაიმართა ენერგიული აფიზარება და აჩარის სოციალისტური პარტიული აქტივის კრებები. ამ დღეებში პარტიული აქტივის კრებები მოეწყო ყველა ქალაქსა და რაიონში. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში კარგა ხანია დაიწყო თათბირზე მიღებული დოკუმენტების შესწავლა.

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგებს როგორც იწონებენ, მათ კარგად ესმით, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის, ანტიიმპერიალისტური ბრძოლისათვის, რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის აუცილებელია გაამრავლონ ეკონომიური წარმატებანი, უფრო განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ეი რა-ტომ არის, რომ დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად გაჩაღებულ დიდ მზადებაში ჩვენი მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები მთელ გულისყურს, მონდომებას, ცოდნასა და ენერგიას მიაპყრობენ იმას, რომ ახალ-ახალი მიღწევები მოიპოვონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აამოძრაონ, აამოქმედონ რეზერვები.

გუშინწინ დაიწყო მიმდინარე წლის მეორე ნახევარი, რომელიც გადამწყვეტია ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ პერიოდში გაწეულ დიდ და შემოქმედებითს შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლენინური იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისათვის — 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შესრულდეს ხუთწლედის მთელი გეგმა.

ამიტომ საჭიროა თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის, სამეურნეო ხელმძღვანელების განსაკუთრებული ზრუნვა სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის, ჩამორჩენილი უბნების მოწინავეთა დონეზე წამოწევებისათვის. რესპუბლიკის ყველა საწარმომ უნდა შეძლოს მესამე და მეოთხე კვარტალის დავალებათა წარმატებით შესრულება, აგრეთვე პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა კი სანიმუშოდ უნდა მოაწყონ მოსავლის აღება და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო თათბირის შედეგებთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება.

— პარტიულმა ორგანიზაციებმა, — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, — აქტიური მუშაობა უნდა გაიჩაღონ თათბირის შედეგებისა და თათბირზე მიღებული დოკუმენტების პროპაგანდისათვის, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით პრესა, რადიო, ტელევიზია, ლექციები და სხვა ფორმები.

და ახლა, როცა ხელთა გვაქვს თათბირის მეტად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, საჭიროა მთელი ძალით გავშალოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ეს დოკუმენტები საუკეთესო სახელმძღვანელოა თვითეული ლექტორისათვის, თვითეული პროპაგანდისტისათვის, იდეოლოგიური ფრონტის ყოველი ჯარისკაცისათვის. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შეიმუშავდეს სპეციალური გეგმა-თემატიკა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ლექციები და საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს, თვითეულ მშრომელს მოუწოდა კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ, წარმატებით განახორციელონ ჩვენი დიადი მშენებლობის გეგმები, სახახელოდ შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამ საბრძოლო მოწოდების მხურვალედ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები, რომლებიც თვიანთი ავანგარდის — საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით შრომობენ და იღწიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ერთსულოვანი მოწონება

პარტიული აქტივის კრებებზე

მთელ ჩვენს ქვეყანაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. საბჭოთა ადამიანები გულდასმით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებს. კველგან — მოსკოვში რესპუბლიკებსა და ოლქებში — თათბირის შედეგების განხილვას ეძღვნება პარტიული აქტივის კრებები. მასში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და კანდიდატები.

კემეროვოს საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებს შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი, ვლადივირის** ოლქის პარტიული აქტივის კრებაზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ქ. ტ. მაზუროვი, ლიპეცკის** საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ი. ვორონოვი, ლატვიის** რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო.**

მიღებული რეზოლუციებით კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება, რომელშიც ისახა მთელი პარტიის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ფიქრები და მისწრაფებანი. პარტიული აქტივის კრებებმა მოუწოდეს ყველა მშრომელს იბრძოლონ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მონაწილე დელეგაციების გამგზავრება

მოსკოვიდან გაემგზავრნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მუშაობაში მონაწილე დელეგაციები:

არგენტინის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრის ამხ. რ. გიოლდის მეთაურობით,

ბოლივიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

ბრაზილიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

ვენესუელის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის გენერალური მდივანი ამხ. ხ. ფარია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები ე. გ. მასსერი და უ. ტორესი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. ა. ლაია,

გაიანის სახალხო პროგრესული პარტიის დელეგაცია,

გვატემალის შრომის პარტიის დელეგაცია,

ჰონდურასის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები — პარტიის ეროვნული საბჭოს ცენტრალური სამდივნოსა და ცენტრალური აღმასკომის წევრები ამხანაგები ნ. გ. კრიშნანი, ბ. გუფტა, ი. გუფტა და რ. ჩაბდრა,

ირლანდიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ფ. ნასარის მეთაურობით,

ერაყის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

ირანის სახალხო პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. რადმანეში და ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ისკენდერი,

ირლანდიის მუშათა პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის აღმასკომის გენერალური მდივანი ამხ. მ. ო'რიორდანი და პარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრი ამხ. ჯ. ჯუფრისა,

ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის აღმასკომის გენერალური მდივანი ამხ. ბ. ჯ. მური და პარტიის აღმასკომის წევრი ამხ. ჯ. მერფი,

კოლუმბიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

კოსტა-რიკის სახალხო დემოკრატიის პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. მორი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. უ. ვარგასი,

ლიბანის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

მექსიკის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. მარტინეს ვერდუგოს მეთაურობით,

აღმოსავლეთ პაკისტანის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

პანამის სახალხო პარტიის დელეგაცია,

პარაგვაის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიისა და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრის ამხ. კ. მასილელის მეთაურობით,

პერუს კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

სირიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის ამხ. გ. პოლის მეთაურობით,

ურუგვაის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. არისმენდი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ამხ. ლ. ხ. მასერა,

ცეილონის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. პ. კეინემანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. პ. სილვა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ხ. გ. რატნაიკა,

ჩილეს კომუნისტური პარტიის დელეგაცია,

ეკვადორის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. პ. სალდის მეთაურობით.

შერმიტაჟეფოს აეროდრომზე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ა. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. გ. პაპიტონოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები.

(საკდესი).

ლენინის ანდერძის ერთგულნი

სრულიად საკავშირო აღკვ საბრძოლო რაზმი — უკრაინის ორმბილიონიანი კომკავშირი ზეიმობს თავის ორმოცდამეათე წლისთავს.

...უკრაინის დედაქალაქის კულტურის ოქტომბრის სასახლე. აქ 1 ივლისს გაიმართა უკრაინის აღკვ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი, რომელიც მიეძღვნა უკრაინის კომკავშირის 50 წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. ა. ლაია, გაიანის სახალხო პროგრესული პარტიის დელეგაცია, გვატემალის შრომის პარტიის დელეგაცია, ჰონდურასის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები — პარტიის ეროვნული საბჭოს ცენტრალური სამდივნოსა და ცენტრალური აღმასკომის წევრები ამხანაგები ნ. გ. კრიშნანი, ბ. გუფტა და რ. ჩაბდრა, ირლანდიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ფ. ნასარის მეთაურობით, ერაყის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, ირანის სახალხო პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. რადმანეში და ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ისკენდერი, ირლანდიის მუშათა პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის აღმასკომის გენერალური მდივანი ამხ. მ. ო'რიორდანი და პარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრი ამხ. ჯ. ჯუფრისა, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის აღმასკომის გენერალური მდივანი ამხ. ბ. ჯ. მური და პარტიის აღმასკომის წევრი ამხ. ჯ. მერფი, კოლუმბიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, კოსტა-რიკის სახალხო დემოკრატიის პარტიის დელეგაცია, სირიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის ამხ. გ. პოლის მეთაურობით, ურუგვაის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. არისმენდი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ამხ. ლ. ხ. მასერა, ცეილონის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები — პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. პ. კეინემანი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. პ. სილვა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ხ. გ. რატნაიკა, ჩილეს კომუნისტური პარტიის დელეგაცია, ეკვადორის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. პ. სალდის მეთაურობით.

შერმიტაჟეფოს აეროდრომზე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ა. ა. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. გ. პაპიტონოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები.

(საკდესი).

უკრაინის კომკავშირს 50 წელი შეუსრულდა

□

რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

პლენუმი გახსნა უკრაინის აღკვ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ს. კაპტომ.

დიდმნიშვნელოვანი კომკავშირის ისტორიაზე საბჭოთა პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ე. შელესტმა.

ამ. ე. შელესტმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით უკრაინის ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის დაჯილდოების შესახებ და დამსწრეთა დიდი გრიალში ორდენი მიაბნია რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის დროშას.

სიტყვის დასასრულს, ამხ. შელესტმა წაიკითხა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი უკრაინის კომკავშირისადმი.

შემდეგ მოხსენება „უკრაინის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წელი“ გააკეთა უკრაინის აღკვ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამ. ს. კაპტომ.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო აღკვ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. ტიაჟელნიკოვმა.

კრებაზე გამოვიდნენ უკრაინის კომკავშირელთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. (საკდესი).

საქართველოს მწერლები — ვ. ი. ლენინის იუბილეს

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. პლენუმი შეუდგა სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ბ. აბაშიძემ.

მოხსენება — „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იდეური მემკვიდრეობა და ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე პრობლემები“ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, კრიტიკოსმა ბ. ჯღენტმა. მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა მან, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება ამ დიდი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის. სხვებთან ერთად ეუბნეროვნოვის ემზადებიან ქართველი მწერლებიც, რომლებისთვისაც ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობა სახელმძღვანელო კრიტერიუმია ლიტერატურული მოვლენების შეფასებაში, ჩვენი იდეური მტრების წინააღმდეგ პრინციპულ იდეოლოგიურ ბრძოლაში.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ილიჩის სახელ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ ლიტერატურაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგი პირველი დღეებიდანვე, იგი მყაფიოდ წარმოსახას პოულობს ქართველ მწერალთა დღევანდელ ნაწარმოებებშიც. მას მიუძღვნეს საუკეთესო ლექსები გ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, ა. მირცხულავამ, კ. კალაძემ, ი. ნონეშვილმა და ბევრმა სხვამ.

ამ ლექსებიდან საუკეთესონი შევა კრებულში, „ქართველი პოეტები ლენინს“, რომელიც გამოსაცემად მზადდება.

ბელადის იუბილესათვის გამოვა ავრეთვე წიგნი — „ქართველი მწერლები ლენინის შესახებ“ და „მსოფლიოს პოეტები ლენინს“. ამ კრებულში ქართველ პოეტებს.

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯინჭარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი პოეტი პ. ბალაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ანჯაფარიძე, „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი ბ. შინჯიკიძე, კრიტიკოსი რ. მიშველაძე, პოეტი ბ. მაზურინი. (საქდესი).

ნოგათები სამშობლოს

● **საქართველოს** კპ ბორჯომის რაიონის პირველმა მდივანმა **ბ. კუხიანიძემ,** რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ს. ყიკნაძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **დ. ბარამიძემ** გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონმა სიტყვა საქმედ აქცია. 24 ივნისს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 112 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით, მატყლისა — 100 პროცენტით.

● **ხაშურელმა** მშრომელებმა პირობა გაანაღდეს, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. მაღალაშვილმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ჯ. გუჯაბიძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. მაისაძემ,** — ვალდებულებები 25 ივნისისათვის სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 11 ათასი ცენტნერი რძე ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 10.610 ცენტნერისა, ფაქტიურად მიეყიდა 11.295 ცენტნერი რძე. წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სახელმწიფოს მიეყიდა 650 ცენტნერი ხორცი, სულ — 2.810 ცენტნერი ნაცვლად 2.160 ცენტნერისა. ვალდებულებით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ მილიონ 700 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად მილიონ 664 ათასი ცალისა, ფაქტიურად მიაყიდეს მილიონ 800 ათასი ცალი კვერცხი. მატყლის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება განაღდებულია 141 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ტყავნეღლეულის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

ციტრუსების გაღეგში

400 ჰექტარი უჭირავს მანდარინს, ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავებს გალის რაიონის მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში.

პლანტაციებში ამჟამად მიმდინარეობს საოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მექანიზატორებს შეაქვთ სასუქი, აწარმოებენ ხეების შეწამვლას.

* * *

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ჯამბულ ღურწკაია.

ფოტო ი. ჰუხონელიძისა. (საქდესის ფოტოკრონიკა).

მგრგვინავ ფაიცხ დამბყრობთაგან ბელორუსიის განთავისუფლების 25 წლისთავისათვის

1944 წლის ზაფხული ფაშისტ დამპყრობლებზე საბჭოთა არმიის მრავალი გამარჯვებით აღინიშნა. მათ შორის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი იყო გერმანელთა ჯარების განადგურება ბელორუსიის ვებზე... 3 ივლისს განთიადისას საბჭოთა ტანკები შეიჭრნენ მინსკში. ტანკებს ტალღებად მიჰყვებოდნენ მსროლელთა და საარტილერიო ნაწილები... ბელორუსიის დედაქალაქი განთავისუფლდა ფაშისტთა ბატონობისაგან...

ამ დღიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა. ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი ქალაქი — ბელორუსი ხალხის სიამაყე.

სურათზე: გამარჯვების მოედანი მინსკში.

ფოტო მ. მინაკოვისა. (საკდესის ფოტოკრონიკა).

მასობრივი ტირაჟით

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა“ — დოკუმენტი, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა მიიღო 1969 წლის 17 ივნისს. (საკდესი).

საკოლმეურნეო ცხოვრების კონსტიტუცია

საკოლმეურნეო წყობილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირშივე და მონაპოვარია. წვრილი გლეხური მეურნეობა ვერ დააღწევს თავს სიღატაკეს და შიმშილს, გამოსავალი მხოლოდ მიწის ამხანაგური, საზოგადოებრივ, არტელურ დამუშავებაშია. ასე მოუწოდებდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი პარტიას. და დღეს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ეწევადება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის წესისამებრ, როცა ხალხის განსახილველად წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების პროექტი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლენინური ანდერძის განხორციელებისათვის სოფლის მშრომელთა ბრძოლის შედეგების ერთგვარ ანალიზს.

ჭინ, მსხვილი კოლექტიური მეურნეობისაკენ! ასეთი კურსი აიღო პარტიამ ლენინის მითითებათა განსახორციელებლად. მემამულეების და ყველა სხვა მიწების სახელმწიფოს ხელში გადასვლამ შექმნა რეალური პირობები წვრილი გლეხური მეურნეობის მსხვილ განვითარებულ ტექნიკაზე დაფუძნებულ კოლექტურ მეურნეობაში გასაერთიანებლად. ღარიბმა და საშუალო გლეხმა ნდობა გამოუცხადა მუშათა კლასს და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ნებაყოფლობით მიაშურა საკოლმეურნეო წარმოებას, რომელმაც თავისი საქმიანობა წარმართა წინასწარ დამუშავებული და შედგენილი გეგმის მიხედვით სახელმწიფო მიწაზე. სოციალისტურმა სახელმწიფომ კოლექტიურ მეურნეობებს გადასცა მიწა უფასოდ და უვადო სარგებლობაში.

ყველა იმ ფორმიდან, რომელიც გაიარა თავისი განვითარების პერიოდში საკოლმეურნეო მოძრაობამ, სოფლის-სამეურნეო არტელმა მოიპოვა სრული პრიორიტეტი და დარჩა როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლი. სასოფლო-სამეურნეო არტელი გამოდგა ისეთი სრულყოფილი საკოლმეურნეო ორგანიზაცია, რომელშიც სანიმუშოდ არის შეხამებული კოლმეურნეობის პირადი ინტერესები კოლმეურნეობისა და სოციალისტური სახელმწიფოს საზოგადოებრივ ინტერესებთან, სადაც ფართოდ ვითარდება და ძლიერდება საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები, გრძელდება მშრომელთა დოვლათი და განუსაზღვრელად მაღლდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე.

სასოფლო-სამეურნეო არტელი მოქმედებს საკუთარი წესდების საფუძველზე, რომელშიც თავმოყრილია მრავალ მილიონ გლეხურ ეკონომიათა სოციალურად ჯარდაწმენდა და სოციალისტურად წარმართვის ყველა ძირითადი საკითხი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის პირველი სანიმუშო წესდება მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1930 წლის მარტში. ამ დროისათვის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო ქვეყნის გლეხური მოსახლეობის მხოლოდ 24 პროცენტი, კოლმეურნეობებს ეჭირათ სათესი ფართობის 31 პროცენტი და აწარმოებდნენ მარკეტიულის 28 პროცენტს. არტელის პირველი სანიმუშო წესდება ითვალისწინებდა მხოლოდ იმ პირობებს, რის საფუძველზე შეიძლებოდა მომხდარიყო წვრილი გლეხური მეურნეობის გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობაში, საიდან და როგორ უნდა დაეწყოთ მუშაობა არტელებს და როგორ უნდა გაეხანძლებინათ მოსავალი. მეურნეობად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის პირველ წესდებაში არ იყო მოცემული და სრულყოფილად გაშუქებული გლეხური სახოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზაციულად მოწყობის, არტელის შრომის ორგანიზაციის, საკუთრებისა და სხვა საკითხები, მაინც პირველმა წესდებამ დიდი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში.

პარტიის საბრძოლო ლოზუნგებმა — „მოვსპოთ კულაკობა როგორც კლასი მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე", „ვეფიცებით თვითეული კოლმეურნეობა ბოლშევიკური, ხოლო ყველა კოლმეურნე შეძლებული", „არ დარჩეს უქრონიკო არც ერთი კოლმეურნე" — მტკიცე დასაბამი მისცა საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. სოფლად საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ განწყობილ კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში კოლმეურნეობათა დასახმარებლად და მათი პოლიტიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცების უზრუნველსაყოფად პარტიამ შექმნა პოლიტგანყოფილებები, რომლებშიც ცენტრალური კომიტეტის შერჩევით საბჭოური საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა საჭირბოროტო საკითხი. მათ შორის: საკოლმეურნეო წყობილების მიზანი და ამოცანები, კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა მიერ მიწით სარგებლობის საკითხი, არტელის საწარმოო საშუალებების შესახებ, არტელის სახსრები, არტელის და მისი გამგეობის მოქმედების შესახებ, არტელში მილების წესები, შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება და დისციპლინა, არტელის საქმეების მართვა და სხვ. კოლმეურნე გლეხობა დიდი მონდომებით შეისწავლიდა და წინადადებებს წესდების პროექტზე. განსაკუთრებულად წარმოდგენილ პროექტში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია: „საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, ეს არის კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ისტორიულად შემოწმებული და გლეხობის თავისებურებათა და ინტერესთა შესაბამისი გზა, რომელიც ვ. ი. ლენინმა დასახა".

კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეპოქა, რომელიც გვიხდება ცხოვრება და საქმიანობა, ახლებურად აყენებს საკოლმეურნეო მოძრაობის მთელ რიგ საკითხებს. სასოფლო-სამეურნეო არტელი კვლავ რჩება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითად რგოლად. მაგრამ მის წესდებაში საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, რაც ცხოვრების რეალური პირობებით არის ნაკარნახევი.

საკოლმეურნეო ცხოვრების განვითარებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებმა. მან ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდო სუბიექტივიზმის დროს დაშვებული შეცდომები სასოფლო-სამეურნეო არტელის მიმართ. კომუნისტურმა პარტიამ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი მუშაობა გასწია დამახინჯების გამოსასწორებლად, ბოლო მოეღო კოლმეურნეობათა ინტერესების შელახვას, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების და პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის უმართებულო შეზღუდვას.

კოლექტიური მეურნეობის ძალა პარტიის ხელმძღვანელობაშია. პარტია არავის მისცემს უფლებას ხელყოს საკოლმეურნეო დემოკრატია, უგულებელყოს კოლმეურნეთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა არტელის საქმეების მართვაში, არაფრად ჩაგდოს არტელის წევრება და შეელახოს კოლმეურნეთა ინტერესები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობა და მატერიალური დაინტერესება სოციალიზმის პირობებში ხორციელდება შრომის და საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივი საკუთრების ბაზაზე. იგი უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის გეგმაზომიერ წინსვლას და მშრომელთა ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის სისტემატურ ამაღლებას. საკოლმეურნეო წარმოებაში ეს ხდება სოციალისტური შრომის ნაყოფიერების ტემპების სისტემატური ზრდის საშუალებით, რომელიც განუყოფელი ნაწილია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების. იგი უტყუარი შედეგია სოციალისტური სისტემის უპირატესობისა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების პროექტში ითვალისწინებულია განსხორციელების ეს ყველა ის ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობს სოციალისტური სინამდვილის მოთხოვნილებებიდან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ეკონომიური კანონია. ის მოითხოვს, რომ საწარმოო ურთიერთობა შეესაბამებოდეს წარმოების ხასიათს, ხოლო ეს უკანასკნელი — საზოგადოების ეკონომიური საფუძვლის მოთხოვნილებებს. ამ კანონის მოქმედების ობიექტური საფუძველია საწარმოო ძალების ხასიათი, რომელიც ხასიათდება მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის მუდმივი ზრდით, ხელით შრომის ნაკლებად ხვედრითი წილით, მანქანური შრომის ხვედრითი წილის ზრდით, ადამიანის მიერ ბუნების ძალების ფართოდ გამოყენებით, ადამიანის ცოდნ

გერმანელ ფაშიზმ დამპყრობთაგან ბელორუსიის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი

დიდებით მოსილი მიწა

პცდაბუთი წლის წინათ — 1944 წლის 8 ივლისს მინსკში ავიაილა გამარჯვების წითელი დროშა. ეს დღე აღინიშნება როგორც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ბელორუსიის მთელი მიწა-წყლის განთავისუფლების დღე, როგორც რესპუბლიკის მშრომელთა ნამდვილი ეროვნული დღესასწაული. და ყოველთვის თავიანთი განთავისუფლების წლისთავის დღეს რესპუბლიკის მშრომელები მადლიერების სატყუვებით მიმართავენ საბჭოთა არმიას, განთავისუფლებელ არმიას, კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს.

— ჰიტლერელთა okupაციისაგან განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულს, — თქვა საკლდნის კორესპონდენტთან საუბარში ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. ა. სურგანოვმა,—ბელორუსის ხალხი აღნიშნავს იმ პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადებით.

წარმატებით ასრულებენ რა ხუთწლიანი გეგმის დავალებებს და სოციალისტურ ვალდებულებებს, ქალაქისა და სოფლის მშრომელები ცხადყოფენ თავის ურყევ ერთგულებას ლენინური იდეებისადმი, კომუნიზმის საქმისადმი.

ბელორუსიის შეტევითი ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდა ბელორუსიის პირველი, მეორე, მესამე და ბალტიისპირეთის პირველი ფრონტების ჯარები, ეკუთვნის დიდი სამამული ომის თვალსაჩინო ბრძოლების რიცხვს. საბჭოთა მეომრებმა ძლიერ მტრის გაყორებულ წინააღმდეგობას და 1944 წლის 25-26 ივნისს პარტიზანთა მხარდაჭერით ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს მტრის ჯგუფებს და გაათავისუფლეს ვიტებსკი. ჩვენმა ჯარებმა ერთ დღეში გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან ორშა, დაუფლნენ მოგილევს, ხოლო 29 ივნისს მოსპეს ბიტლერელთა ბობრუისკის დაჯგუფება. 3 ივლისს გარიერაზე მამაცი საბჭოთა მეომრები შევიდნენ მინსკის რაიონში და ქალაქის აღმოსავლეთით ალყა შემოარტყეს მოწინააღმდეგის ახი ათასზე მეტ ჯარისკაცსა და ოფიცერს. 3 ივლისს ბელორუსიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი გაათავისუფლეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან, ხოლო ივლისის დამლევს მთლიანად გაათავეს ბიტლერელები ბელორუსიიდან.

ასე ბრწყინვალედ განხორციელებული ბელორუსიის ოპერაციის შედეგად განთავისუფლდა ქალაქები ფაშისტური ჯარების უდიდესი დაჯგუფება „ცენტრი“. შეუძლებელია იმის აღწერა, რაც თვალწინ წარმოუდგათ განთავისუფლებელ მეომრებს, ქალაქებისა და სოფლების ადგილზე იყო ნანგრევები და ნახანძრალები. მტერმა მოსპო მრავალი ათასი საცხოვრებელი სახლი, სამრეწველო საწარმოები, ხაშდიცინო, სახავშვო და სხვა დაწესებულებანი. გაძარცვული, გადაწვავი და დანგრეული იყო თითქმის ყველაფერი, რაც ხალხის შრომით შეიქმნა.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე რუსების, უკრაინელების, ყველა მომძე ხალხის მხარდამხარ იბრძოდა 1.100 ათასზე მეტი ბელორუსი. ფაშისტური okupაციის დროს ბელორუსია პარტიზანული მხარე გახდა. სახალხო შურისმგებელთა რიგებში იბრძოდა 440 ათასზე მეტი პატრიოტი.

გამოვიდა რა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 28 დეკემბრის სხდომის სხდომაზე, **ამხანაგმა** ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „სამუდამოდ დარჩება ადამიანის მეხსიერებაში ბელორუსიის შვილთა უკვდავი გმირობა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ფაშისტმა დამპყრობლებმა თავის თავზე გამოიცადეს იმ ხალხის გულისწყრომისა და სიძულვილის მთელი ძალა, რომელიც იცავდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თავის სოციალისტურ მონაპოვრებს“

ბელორუსი ხალხი წმიდად ინახავს საბჭოთა განთავისუფლებელი მეომრების საკმორო საქმეების ხსოვნას. საბჭოთა არმიისადმი ჩვენი მარადიული მადლობის ნიშნად მის პატივსაცემად მინსკის ახლოს აგებულია დიდების ყორღანი, რომელსაც აგვირგვინებს ოთხი მონუმენტური ხიშტი. ეს ხიშტები სიმბოლოა ოთხი ფრონტის მეომართა სახიდოლი ძმობისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბელორუსიის შეტევით ოპერაციაში. ამ ყორღანში არის მოსკოვისა და ლენინგრადის, ყოლგოგრადისა და კიევის, ოდესისა და სევასტოპოლის, ბრესტის ციხე-ქალაქის, რიგისა და ბაქოს, სევრდლოვსკისა და ნოვოსიბირსკის, ულიანოვსკისა და ნოვგოროდის და სხვა ხსახურთლო და შრომითი დიდების ქალაქების მიწა.

ფაშიზმის წინააღმდეგ სისხლისმღვრელმა ბრძოლამ ჩვენი ხალხის აურაცხელი მსხვერპლი შეიწირა. 20 მილიონი კაცი დაკარგა საბჭოთა კავშირმა ომის წლებში. ომში დაიღუპა ბელორუსიის ყოველი მეოთხე მცხოვრები. ჩვენ გვახსოვს ბიტლერელი ურჯულოების მიერ ცოცხლად დამწვარი მინსკის ოლქის ლოგის რაიონის სოფელ ხატინის მცხოვრებნი, რესპუბლიკის 800-ზე მეტი დასახლებული პუნქტის მოხუცები და ბავშვები, რომლებსაც ასეთივე საშინელი ბედი ეწიათ. მტერმა დაანგრია და ფერფლად აქცია ბელორუსიის 209 ქალაქი და რაიონული ცენტრი, 9.200 დაბა და სოფელი.

ახობით დასახლებული პუნქტი, მათ შორის სოფელი ხატინი, აღარც აღდგენილა. საბჭოთა პატრიოტებს, ფაშიზმის ყველა მსხვერპლის სამახსოვროდ ბელორუსიის მიწაწყალზე ბელორუსიის გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დღეებში ყოფილ სოფელ ხატინის ადგილზე გაიხსნება მემორიალური კომპლექსი. ამ დღეებში ბელორუსიის სხვა ადგილებშიც გაიხსნება ძეგლები, ობელისკები, მემორიალური დაფები.

განთავისუფლების დღესასწაულზე ბელორუსიაში ჩამოვა მრავალი სტუმარი, ისინი, ვინც იბრძოდა მტრის წინააღმდეგ ჩვენს წმიდათაწმიდა მიწა-წყალზე. მათ თვალწინ წარმოუდგებათ სრულიად გარდაქმნილი მხარე. ომამდე ჩვენ არა გვქონდა ტრაქტორმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა, ზუსტ ხელსაწყომშენებლობა, ნავთობის მომპოვებელი და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა, რადიოელექტრონული და ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი დარგი.

ახლა ყოველივე ეს გვაქვს. ბელორუსიის საავტომობილო ქარხანაში მოგვარებულია 40 ტონიანი თვითმცლელების წარმოება, ხოლო სატრაქტორო ქარხანა უკვე უშვებს ათობითასობით მანქანას წელიწადში. მინერალური ნედლეულის აღმოჩენილ საბადოთა ბაზაზე სწრაფად ვითარდება დიდი ქიმია. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მანქანათმშენებლობის, ელექტრონერგეტიკისა და ქიმიური მრეწველობის ხვედრითი წონა ერთობრივად და მეტად გაიზარდა.

სწრაფი ტემპით იზრდება მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკა. დამთავრდა პოლოცკის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, გროდნოს აზოტოვანი სასუქის ქარხანა, მეორე ხოლიგორსკის კალიუმის კომბინატის, ბერიოზოვსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა. ხუთწლედის დამლევს მწყობრში ჩადგება მოგილიოვის სინთეზური ბოჭკოს მსოფლიოში უდიდესი კომბინატი. ლუკომლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი აგრეგატები. მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები

ბელორუსიას ამჟამად არათუ შეაქვს დიდი წვლილი უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ნაწარმთა სრულიად საკავშირო წარმოებაში, არამედ უცხოეთის ბაზრებზეც გზავნის ამ ნაწარმს. ბელორუსიის საწარმოთა მარკას იცნობენ მსოფლიოს 80 ქვეყანაში.

ომისშემდგომ პერიოდში პრაქტიკულად ახლად შეიქმნა კოლექტიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შრომა სოფლის მეურნეობაში სულ უფრო მეტ მანქანებითაა შეიარაღებული. ბელორუსიის მიწაწყალზე ათასობით ტრაქტორი და კომბაინი მუშაობს. ბელორუსიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

მდიდარი და მრავალმხრივია ჩვენი ქალაქის სულიერი ცხოვრება. მსხვილ სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემია. 28 უმაღლეს სასწავლებელი ამზადებს კადრებს სახალხო მეურნეობისა და კულტურისათვის. ბელორუსული ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის მოღვაწეები ამრავლებენ საბჭოთა ხალხის მხატვრულ განძს.

საბჭოთა ბელორუსია შემოქმედებითი ძალების ნამდვილ აყვავებას განიცდის. მის დროშაზე ბრწყინავს ორი ლენინის ორდენი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად მეგობრობა ბელორუსიის მტკიცე რწმენით მივდივართ კომუნიზმისაკენ. აღნიშნავს რა ბელორუსიის განთავისუფლების 25 წლისთავს, ჩვენი ხალხი თავის გულში ინახავს და მუდამ მადლობით იხსენიებს დიდი სამამულო ომის დაღუპულ გმირებსა და ვეტერანებს, მამაცი საბჭოთა არმიის მეომრებს და პარტიზანებს, მამაც იოანკაჭრიშვილებს, შრომის ფრონტის მებრძოლებს — ყველას, ვინც ომის ძნელი განსაცდელის გადალახვით გაბედულად და სიამაყით დაიცვა ერთგულება ლენინური დროშისადმი, დაიცვა და განამტკიცა დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი.

ბელორუსიისათვის ბრძოლაში დაეცნენ

ობელისკი მოსწვში

ბელორუსიის ერთ-ერთი ძველი ქალაქის მოსტის მცხოვრებლები ცენტრალურ პარკში გაგლის დროს აუცილებლად შეჩერდებიან აქ აღმართულ დიდების ობელისკთან, რათა სამამულო ომში დაღუპული გმირებისადმი თავიანთი პატივისცემა გამოხატონ. ათვალიერებენ ამ ადგილზე ახლახან გაჩენილ ნარგავებს — კვიპაროსებს, პალმებს, ყვავილების ბუჩქებს, რომლებიც არყის ხეებისა და ცაცხვების გვერდით ჩამწკრივებულან. საიდან გაჩნდნენ ისინი აქ?..

ეს მოხდა 1944 წელს. საბჭოთა მეომრები გაადფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ მოსტის განთავისუფლებისათვის, მტერთან ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირული სიკვდილით დაეცა ქართველი მებრძოლი ივანე ნესტორის-ძე თორდია. ის დაკრძალეს აქ, მშობლიური მიწა მიაყარეს. მაღალი ობელისკის მარმარილოს კვარცხლბეკზე ოქროს ასოებით მისი სახელიც არის ამოკვეთილი.

ქ. მოსტის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებლების წრის წევრებმა, მოსწავლეებმა მასწავლებელ მიხეილ გუნჩაის მეთაურობით მოძებნეს ქ. მოსტში. დაკრძალული გმირთა ნათესავები. მათ შორის ივანე თორდიას ძმა და სხვა ახლობლები.

წელს, გამარჯვების დღის წინა დღეებში, დალუპული გმირის ძმა, სოხუმის მკვიდრი გიორგი თორდია, ივანეს უმცროსი შვილი ჯუმბერ თორდია, ბიძაშვილები კოკა და ხარიტონ თორდიები ეწვივნენ ქალაქ მოსტს, რათა მუხლი მოეყარათ თავიანთი ძმისა და მამის საფლავზე. მოსტის მცხოვრებლებმა ქართველი სტუმრები გულთბილად მიიღეს. ქართველებმა იქ ჩაატარეს სამხრეთის დეკორატიული მცენარეები, რომლებიც ქალაქ მოსტში დარგეს, ძმათა სასაფლაო ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს, ბოლოს მშობლიური მიწა მიაყარეს ი. თორდიას საფლავს.

ივანე თორდია ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში დაიბადა. ფრონტზე წავიდა ომის პირველ დღეებში. 1941 წელს. 1942 წელს დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ სამეთაურო სასწავლებელი დაამთავრა, უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო და ყველა ფრონტზე გადმოსრა. მონაწილეობდა ბრძოლებში ორიოლის მიმართულებით.

უკანასკნელი წერილი შინ ქ. მოსტიდან გამოგზავნა, შემდეგ კი ოჯახმა მისი გმირულად დაღუპვის ცნობა მიიღო. ივანეს დარჩა სამი მცირეწლოვანი ბავშვი — ანზორი, ჯუმბერი და მერი. ძმები ამჟამად მშობლიურ სოფელში მუშაობენ, ქალიშვილი მეზობელ სოფელში გათხოვდა. შვილებმა დიდხანს არ იცოდნენ სად იყო მამის საფლავი, და აი წელს მოულოდნელად შორეული ბელორუსიიდან მოვიდა წერილი, რომლითაც მოსწავლეები იტყობინებოდნენ, რომ ი. თორდია დაკრძალულია ქ. მოსტში ძმათა სასაფლაოზე.

ამას წინათ გმირის ძმამ ბაბუში თორდიამ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალის სალქო კომიტეტისაგან და საოლქო საბჭოს აღმასკომისაგან მოსაწვევი ბარათი მიიღო. მას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ბელორუსიის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად იწვევენ. ბ. თორდია გაემგზავრა ბელორუსიაში.

ქართველი ვაჟკაცი ივანე თორდია 25 წლის წინათ გმირულად დაეცა ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ვინ იცის, რამდენი ოცნება ჩაიტანა მიწაში.

ი. გოგებაია.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ლეო ესაკია

ბარდაიცვალა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწე ლეო დიმიტრისძე ესაკია. მისი ნაყოფიერი და მრავალმხრივი შემოქმედება დიდად არის ცნობილი საბჭოთა მაყურებლისათვის. იგი იყო ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი მოთავე და 45 წლის მანძილზე უმწიკვლოდ, მთელი გატაცებით ემსახურებოდა ჩვენი კინოხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული კინოს შემობრუნება სოციალისტური მშენებლობისა და რევოლუციური წარსულის აქტუალური თემებისაკენ.

ლეო ესაკია დაიბადა 1899 წელს ყოფილი სენაკის მაზრის სოფელ ნაბახავოში. 1916 წელს იგი ქუთაისის ფრონტზეა, ხოლო რევოლუციის შემდეგ მსახურობს წითელ არმიაში. შემდეგ იწყებს სწავლა. კომკავშირული მუშაობა და აქტიური თანამშრომლობა ეგზრნალ-გაზეთებში, სადაც იგი აქვეყნებს ლექსებს, კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებს. 1924 წელს იგი შედის „კომუნისტური პარტიის რიგებში და მომდევნო წლებში მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1927 წლიდან ლ. ესაკია მიდის ქინოსტუდიაში სამუშაოდ და უკვე 1928 წელს საკუთარი სცენარით დგამს პირველ ფილმს „ჰოლუზე“, რომელიც საკლმევრნეო თემას მიეძღვნა. ორიგინალური ისტორიულ-რევოლუციური ფილმი იყო მისი „მერიონაშვილი“ (1929 წ.). ხოლო 1932 წელს მან დადგა პირველი ქართული ხმოვანი ფილმი „მაქრი“ კოლექტივიზაციის თემაზე. უნდა აღინიშნოს ლ. ესაკიას შემდგომი ფილმები: „ფრთოსანი მღებავი“ (1936 წ.), „ქალიშვილი გაღმიდან“ (1940 წ.). ამის შემდეგ იგი წერს წიგნებს, თარგმნის ლიტერატურულ ნაწარმოებებს, წერს ლიბრეტოს ა. ბუქიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის“ და დიდხანს მუშაობს ხელოვნების სახელმწიფო დაწესებულებებში ხელმძღვანელ პოსტებზე.

1954 წელს ლეო ესაკია უბრუნდება კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ დამდგმელ-რეჟისორად და დგამს ისტორიულ ფერად მხატვრულ სურათს „ბაში-აჩუკს“, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა. რეჟისორის შემდგომი ეკრანიზაცია იყო „გლახის ნაამბობი“ (1961 წ.) და კინოოპერა „ბებიაჩემის და ეთერი“ (1966 წ.). უკანასკნელ ხანს იგი მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სალიტერატურო კოლეგიის წევრად და ამზადებდა ფილმებს ქართული ხალხური ეპოსის საფუძველზე.

ლეო ესაკიას დამსახურება ქართულ კინოხელოვნებაში ჯერ-ჯერობით ვერ შეფასებულა სათანადოდ. მისი ფილმები ეროვნული ხასიათის ნათელი გამოხატულებაა. ისინი ეროვნული ფერით, ეროვნული ხასიათებით, ეროვნული ყოფა-ცხოვრებით გამსჭვალული ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებია.

ლეო ესაკიას სახალხო არტისტი ლეო ესაკია იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე. პრინციპული და თავმდაბალი ადამიანი. შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში იგი ყოველთვის მაღალ მოთხოვნელობას იჩენდა ყველასადმი და პირველ რიგში საკუთარი თავისადმი. მას გული შესტკიოდა მშობლიური კულტურისა და ქართული კინოხელოვნების განვითარებისათვის, რომელთა ერთგული დარჩა უკანასკნელ ღღემდე. ნიჭიერი ხელოვანისა და კარგი მოქალაქის სახელი დიდხანს იცოცხლებს ჩვენს ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი; კინოსტუდია „ქართული ფილმი“.

გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

მაიაკოვსკი. (ხაკ. კორ.). პატარა სოფელია რომი. მაგრამ ამ სოფლიდან ხუთასამდე ვაჟკაცი ებრძოდა მონაწილეობას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოკიდებლობისათვის ბრძოლებში. მათგან ნახევარი შინ ვეღარ დაბრუნდა.

თანასოფლელები წმიდად ინახავენ შინამოუსვლელთა ხსოვნას. ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფად სოფლის ცენტრში აიგო ობელისკი, რომელიც ეკლარის თეთრი ქვისაგან არის გამოკვეთილი. აქვე გაკეთდა ფოტოსტენდი.

ობელისკისა და სტენდის ირგვლივ როზელებმა სკვერიც გააშენეს.

საკლთაშორისო ხსოვნა

უკანონო აქცია

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. (საკლდსი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ გუშინ დაიწყო განხილვა საკითხისა: ისრაელის მთავრობის ანექსიონისტური აქციები იერუსალიმის არაბული ნაწილის მიმართ.**

უშიშროების საბჭო ამ პრობლემის ახილავს იორდანიის მთავრობის თხოვნით, რომელსაც მიჩნია, რომ ისრაელის მიერ ქალაქ იერუსალიმის ანექსია უკანონო მოქმედებას გამო და მოსთხოვოს ისრაელს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოკუპირებული არაბული იერუსალიმის ისრაელიზაციის ცდები.

საფრანგეთის წარმომადგენელმა **პრმან ბერარმა** გამოთქვა იმედი, რომ ისრაელის მთავრობა დაუყოვნებლივ შეწყვეტს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია იერუსალიმის სტატუს-კვოს შეცვლა, და მოუწოდა საბჭოს მოითხოვოს, რომ შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უწინდელი რეზოლუციები იერუსალიმის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის **ჩარლზ ოსგუდ** გამოსვლა შეიცავდა ზოგად განცხადებებს, რომ შეერთებული შტატები ესწრაფვოდეს პოლიტიკურ მოწესრიგების ახლო აღმოსავლეთში და უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებას.

ლორდმა კარადონმა (დიდი ბრიტანეთი) განაცხადა, რომ ეგჩრება „თავისუფალ მოლაპარაკებას“, არსებითად კი გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ განახორციელონ რაიმე კონკრეტული და სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია როგორც იერუსალიმის, ისე მთელი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისათვის.

ისრაელის დელეგატმა **ტეკოამ** განაცხადა, რომ არაბულ სახელმწიფოთა ვერავითარი მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვერ შეუშლის ხელს ისრაელს მიაღწიოს „დასახულ მიზნებს“.

სირიის წარმომადგენელმა **ჯორჯ ტომემ** კონკრეტული მაგალითებით დასურათა ისრაელის ექსპანსიის ბანგრძლივი ისტორია, არაბული მოსახლეობის განდევნა ძველთაძველი მიწებიდან და არაბულ ლტოლვილთა უფლებების ფეხქვეშ გათელვა პალესტინაში.

უშიშროების საბჭოში

რუსალიმის მიმართ უკანონოდ იყო გამოცხადებული.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა **ა. ვ. ხახაროვმა** მხარი დაუჭირა იორდანიის დასაბუთებულ და სამართლიან მოთხოვნებს. უშიშროების საბჭომ, ხაზი გაუსვა მან, გადაჭრით უნდა დაგმოს ისრაელი იერუსალიმში უკანონო მოქმედების გამო და მოსთხოვოს ისრაელს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოკუპირებული არაბული იერუსალიმის ისრაელიზაციის ცდები.

საფრანგეთის წარმომადგენელმა **პრმან ბერარმა** გამოთქვა იმედი, რომ ისრაელის მთავრობა დაუყოვნებლივ შეწყვეტს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია იერუსალიმის სტატუს-კვოს შეცვლა, და მოუწოდა საბჭოს მოითხოვოს, რომ შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უწინდელი რეზოლუციები იერუსალიმის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის **ჩარლზ ოსგუდ** გამოსვლა შეიცავდა ზოგად განცხადებებს, რომ შეერთებული შტატები ესწრაფვოდეს პოლიტიკურ მოწესრიგების ახლო აღმოსავლეთში და უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესრულებას.

ლორდმა კარადონმა (დიდი ბრიტანეთი) განაცხადა, რომ ეგჩრება „თავისუფალ მოლაპარაკებას“, არსებითად კი გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ განახორციელონ რაიმე კონკრეტული და სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია როგორც იერუსალიმის, ისე მთელი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისათვის.

ისრაელის დელეგატმა **ტეკოამ** განაცხადა, რომ არაბულ სახელმწიფოთა ვერავითარი მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვერ შეუშლის ხელს ისრაელს მიაღწიოს „დასახულ მიზნებს“.

სირიის წარმომადგენელმა **ჯორჯ ტომემ** კონკრეტული მაგალითებით დასურათა ისრაელის ექსპანსიის ბანგრძლივი ისტორია, არაბული მოსახლეობის განდევნა ძველთაძველი მიწებიდან და არაბულ ლტოლვილთა უფლებების ფეხქვეშ გათელვა პალესტინაში.

ფ. გორმანი მოსკოვში

9 ივლისს მოსკოვში, როგორც შეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ინსტიტუტის სტუმარი, ჩამოვიდა ამერიკელი კომპოზიტორი ფრენკ ბორმანი.

ამ მამაცი მფრინავის სახელი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ესპანეთში გაფრინდა 1965 წლის დამლევს ხომალდ „ჯემინი-7“-ით და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წარმატებით შემოფრინა მთვარეს „პოლარ-8“-ით 1968 წლის დეკემბერში. ფრენა ბორმანი 41 წლისაა. პროფესიით იგი ავიაციის ინჟინერია. აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალების პოლკოვნიკის წოდება. (საკლესი).

საკალო წესები კრგენტინაში

ბუენოს-აირესი, 1 ივლისი. (საკლესი). არგენტინაში შემოღებულია საალყო წესები. მკაცრი კონტროლი დაწესეს ინფორმაციის საშუალებებზე. აკრძალულია გაფიცვები და დემონსტრაციები. პოლიციასა და სახამართლოებს მინიჭებული აქვთ სავანგებო უფლებამოსილება „წესრიგის“ დასაცავად. გადაწყვეტილება ამის შესახებ გუშინ მიიღეს მთავრობისა და უშიშროების ეროვნული საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. რომელიც პრეზიდენტმა ონგანიამ სასწრაფოდ მოიწვია.

არგენტინის შინაგან საქმეთა მინისტრი ფრანსისკო იმასი, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა რადიოთი და ტელევიზიით, მთავრობის გადაწყვეტილებას ამართლებდა იმით, რომ არგენტინაში არის „კარგად ორგანიზებული ძირგამოთხრილი შეთქმულება“.

საალყო წესების შემოღების უშუალო საბაბი გახდა ის, რომ უცნობმა პირებმა მოკლეს აუგუსტო კანდორა — არგენტინის შემარჯვენე პროფკავშირთა ერთ-ერთი ლიდერი, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ხელმძღვანელი.

მოგრამ, როგორც აქ ფიქრობენ, საალყო წესებისა და არგენტინის სამხედრო საქმეებში სამხედრო პირთა ჩარევის გაძლიერების მთავარი მიზეზია მთავრობის საწინააღმდეგო მძლავრი გამოსვლები მასებისა, რომლებიც მოითხოვენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და პროტესტს აცხადებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დესანების წინააღმდეგ არგენტინაში.

დამახასიათებელია, რომ ხელისუფლებამ, ისარგებლეს რა ახალი სანგანგებო ღონისძიებების შემოღებით სახელმწიფოში, თავს დაატეხა რეპრესიები ქვეყნის პროგრესულ პროფკავშირებს. დაახტომრეს შრომის ოპოზიციური საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელი რამონუნდო ონგანო და 50-მდე სხვა მემარცხენე პროფკავშირული ლიდერი.

საგანგაშო ფაქტები

ლონდონი, 2 ივლისი. (საკლესი). დასავლეთ გერმანიის მმართველი კლასი და მთავრობა აშკარად ქადაგებენ მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ ხაომარი აგრესიის კურსს და იღებენ კანონებს, რათა შექმნან დიქტატურა წინააღმდეგობის ჩასახშობად ქვეყნის შიგნით. ამას წერს ინგლისელი პროგრესული იურისტი დენის პრიტი თავის წიგნში „მოუნანიებელი აგრესორები“, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა ინგლისში.

კრიტიკა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ამჟამად ორი ათასამდე ყოფილ ნაცისტს უკავია მაღალი პოსტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებში, შეიარაღებულ ძალებსა და დიპლომატიურ სამსახურში. მათ უკისრებათ პასუხისმგებლობა „მასობრივი დაჭერისა და ადამიანთა ჩამებისათვის“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნავს პრაგა, მთელი გერმანიის ერთპიროვნულ წარმომადგენლობას იჩემებს, მოითხოვს დასავლეთ გერმანიის აღჭურვას ატომური იარაღით, ხოლო დასავლეთ გერმანიის ტერიტორიული პრეტენზიები საგრძნობლად აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას.

პრაგა თავის წიგნში აღნიშნავს, რომ სურს ინგლისის საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყროს დასავლეთ გერმანიის ახლანდელი პოლიტიკის საშიშროებას.

პროვოკაციები გრძელდება

ამანი, 1 ივლისი. (საკლესი). ისრაელის ავიაციამ დღეს ორჯერ დაარღვია იორდანიის საპაერო სივრცე, ცეცხლი დაუშინა მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს.

ახალი ამბები ფაქტები

სსრ კავშირის შეკვეთით

● **ვარშავა.** (საკლესი). გდანსკის გემთაშენებში წყალში ჩაუშვეს სსრ კავშირის შეკვეთით აგებული გემი, რომლის წყალწყვა 12.500 ტონაა. გემს უწოდეს როზა ლუქსემბურგის სახელი.

გაუკრთოებული კლენტი

● **ჭიკინდი.** (საკლესი). როგორც კორეის ცენტრალური დაეჭვებათა საგენტო იუწყება, აქ გაიმართა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შვედეი საკითხები: „სახელმწიფო ქონების დაცვა და ბრძოლა მომჭირნეობის გაძლიერებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში“ და „ახალი აღმავლობა თეთრის მრეწველობის განვითარებაში“.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კიმ ირ სენმა.

სროლა არჩევნებზე

მაირო, 2 ივლისი. (საკლესი). არგენტინის სროლა კვლავ ისმოდა გუშინ სუფეის არჩევნებში. ხმის მიცემის დროს ადგილობრივ ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის ატეხილ შეტაკებებში ერთი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა.

ლოკერთა გაფიცვა

● **ლონდონი.** (საკლესი). ინგლისის ოთხი ძირითადი ნავსაყდრიდან — ლონდონი, ლივერპული, საუთჰემპტონი და მანჩესტერი დოკერების ზეფიცმეშმა მოიცვა. გაფიცვაში მონაწილეობს 4 ათასამდე კაცი. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და ბრძოლას აწარმოებენ ატომური იარაღის ტრანსპორტირების წინააღმდეგ.

იტალია:

უთანხმოებათა ვითარებაში

რომი, 1 ივლისი. საკლესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვატყობინებს:

წუხელ, ოთხი დღის მუშაობის შემდეგ, დაიშურა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის 11 ეროვნული ყრილობა. ეს იტალიის უდიდესი ბურჟუაზიული პარტიაა. ყრილობის მუდებს მჭევრმეტყველურად მოწმობენ ბურჟუაზიული გაზეთების გამონაქვამები. ქრისტიანულ დემოკრატებს, წერს მილანის „ჯორნო“, არ მიუღიათ არც ერთი გადაწყვეტილება და მათი წინანდელი პარტიული უმრავლესობა მნიშვნელოვნად შესუსტდა. ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ, — აღიარებს „კორიერე დელა სერა“. ტორინოს „სტამპა“ პირდაპირ აცხადებს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის მეორე პარტიის — სოციალისტური პარტიის შინაგანი კრიზისის გამო იტალიაში რეალურად შეიქმნა მთავრობის კრიზისის საფრთხე.

მართლაც, ოთხი დღის რთულმა ფარულმა მანევრებმა, გააფთრებულმა პოლემიკამ ყრილობის ტრიბუნიდან, სხვადასხვა მიმდინარეობის ცდარე გაპრობამ პრაქტიკულად ვერ გამოიღო რაიმე ხელშესახები შედეგი.

თუმცა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში რვა შიდაპარტიული მიმდინარეობაა, ყრილობაზე ბრძოლა უშთავრესად გაიმართა ორ ძირითად ბლოკს შორის — „დროტელლთა“ კონსერვატიულ მიმდინარეობას შორის, რომელსაც პარტიასა და მთავრობაში უკავია ხელმძღვანელი პოსტები, და მემარცხენე მიმდინარეობებს შორის, რომლებსაც შეუერთდნენ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ა. მოროს მომხრენი, რომელიც ამ ბლოკის ლიდერი გ

საქართველოს მთა და ბარში

ვ. ი. ლენინი და აჭარა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეცნიერ მუშაკთა მიერ მომზადებული მოძრავი გამოფენა თემაზე: „ვ. ი. ლენინი და აჭარა“. ცხრა ფარისაგან შემდგარ გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრულად გაფორმებული ტექსტები, ციტატები, ქრონოლოგიურად განლაგებული უნიკალური ფოტო-საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დამთვალიერებლებს თვალსაჩინოდ მოუთხრობენ აჭარის მშრომელთა დიდ სიყვარულზე ბელადისადმი.

ყურადღებას იპყრობს გამოფენაზე წარმოდგენილი განყოფილებები — „ვ. ი. ლენინი და ბრძოლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“, „აჭარის მშრომელთა მისალმებანი ლენინს“, „აჭარის მშრომელთა ფიცი ვ. ი. ლენინისადმი“.

დ. მჟავანაძიშვილი.

ჰიათურა-სიგულდა სტუმრები მოძმე ლატვიიდან

ჰიათურა. (საკ. კორ.). მჭიდრო მეგობრობა დამყარდა ჰიათურელ და მოძმე ლატვიის რესპუბლიკის საყურორტო ქალაქ სიგულდის მშრომელებს შორის. ეს ძმობა-მეგობრობა უბრალოდ დაიწყო: რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „ოგონიოკის“ გარეკანზე დაიბეჭდა ჰიათურის სამგზავრო-საბაგირო გზის სურათი. ეს გზა იმხანად პირველი იყო საბჭოთა ქვეყნირში. მალე ქართული მარგანეცის ქალაქში ლატვიიდან ბარათი მოვიდა. სიგულდელი მეგობრები სამგზავრო-საბაგირო გზის მშენებლობაში დახმარებას ითხოვდნენ. ჰიათურიდან თანხმობის დეპეშა გაგზავნეს. მალე სიგულდელები ჰიათურაში ჩამოვიდნენ. ისინი გაეცნენ საჰაეროსაბაგირო გზების მუშაობას. მათ სიგულდაში მიიწვიეს საბაგირო გზების სპეციალისტი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერ-გამომგონებელი გ. ფანცულაია. მისი პროექტითა და მონაწილეობით სიგულდაში ამენდა სამგზავრო-საბაგირო გზა.

სიგულდელებმა გადაწყვიტეს ტექნიკური გაუმჯობესება შეეტანათ სამგზავრო-საბაგირო გზის კონსტრუქციაში და კვლავ ჰიათურას მოაშურეს, გულდასმით გაეცნენ საბაგირო გზების მუშაობას. ჰიათურის ღირსშესანიშნაობებს, ესაუბრნენ სპეციალისტებს, ინჟინერ-მექანიკოსებს. მათ სათანადო ტექნიკური დახმარება და კონსულტაცია მიიღეს ჰიათურელებისაგან.

მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა გულთბილად გააცილეს ძვირფასი სტუმრები.

რუსთაველის თეატრი ჯუთაისში

ჯუთაისი. (საკ. კორ.). აქ საგასტროლოდ არის თბილისის ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

რუსთაველის სახელობის თეატრმა ჯუთაისელ მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები. საგასტროლო რეპერტუარშია ლ. ჭიაჩელის — „გვადი ბიგვა“, ა. ცაგარლის — „ხანუმა“, ნ. დუმბაძის — „მზიანი ღამე“, ვ. ელიოზიშვილის — „ბებერი მეზურნეები“, ო. იოსელიანის — „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

სახალხო თეატრის სპექტაკლზე

ამ დღეებში თბილისის რკინიგზელთა სახლში ა. მაიაკოვსკის სახელობის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საბავშვო სპექტაკლი — გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის სამმოქმედებიანი ლოპაში „ლადო კეცხოველი“.

სპექტაკლის დამდგმელია ალ. გუბელაძე მხატვარი — გ. ბერეჩიკიძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპოზიტორ ვ. ჩირინაშვილს. მთავარ როლებს ასრულებდნენ ვ. იოსებაშვილი (ლადო კეცხოველი), ალ. გუბელაძე, ლ. გორგოძე, ლ. ლომსიანიძე, ა. ქართველიშვილი, ქ. ზავზავაძე, უ. რობაქიძე, ბ. ცერცვაძე ქ. სვანიაშვილი. („კომ“. კორ.).

ცხაკაია, სახალხო თეატრის შენობა. ფოტო ბ. სოპოლოვისა.

თასი — საუკეთესო კედლის გაზეთს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რაიონული გაზეთის „ლენინის დროშა“ რედაქციამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო კედლის გაზეთისათვის და დაწესა გარდამავალი თასი.

შემოწმების პირველი ვადა დადგა. კონკურსის ეიურიმ შეაფასა მოწვია კედლის გაზეთების საქმიანობა. გარდამავალი თასი გადაეცა სოფელ ხეევის კომპეტენციის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის კედლის გაზეთს „კომეგორნის ხმას“.

აღინიშნა რაიონის კულტურის სახლის, ღორეშისა და ვერტყვიჭალის საშუალო სკოლების კედლის გაზეთების კარგი მუშაობა.

ჭიმი გვიკანუხებს

„გთხოვთ მოგვითხროთ გაზეთში, რა თვისებები ახასიათებს ლუდს, მავნებელია თუ არა იგი ჯანმრთელობისათვის? ჩვენთან ბევრი ეტანება ამ სასმელს და იგი მეტად სასარგებლოდ მიაჩნიათ. მართალია თუ არა ეს?“

ეს წერილი მიიღო სსრ კავშირის სანიტარული განათლების ცენტრალურმა სახლმა. მაგრამ ვერც ეს ორგანიზაცია და ვერც ექიმთა საბჭოს სამეცნიერო სხდომა ვერ უპასუხებს ამ კითხვას. ამ საკითხზე ჯერ არ ჩატარებულა სერიოზული გამოკვლევა.

ლუდი ხალხური სასმელია. ის ხალისიანობას, მხიარულ განწყობილებას ქმნის. ლუდში ბევრი ვიტამინია. ამიტომ ექიმები ურჩევენ ხოლმე ავადმყოფებს, ვისაც ნერვიული აშლილობა აქვს, ლუდის დალევას. ლუდის ქარხნებში ხომ ასეთ ავადმყოფებს სპეციალურ განყოფილებებში ამზადებენ ლუდს.